სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - "საქართველოს საზღვრები", ერთ-ერთი მიმართულების - "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება", 2021 წლის თემატიკით განსაზღვრული იყო თემის: "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ცენტრალური კავკასიის ხალხებთან," შესრულება. კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2021 წლის 16 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით, მეცნიერთა ჯგუფმა, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი;** მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**) და საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების (მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი მამარდაშვილი**) თანამშრომლებმა მოაწყვეს ექსპედიცია ონის მუნიციპალიტეტში. საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩატარდა ზემო რაჭის სოფლებში: ღები, ჭიორა და გლოლა. მოპოვებული მასალა დამუშავდა და გამოყენებული იქნა წლიურ ნაშრომებში.